ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №7

26 მარტი, 2018 წელი

ქ. ახმეტა

თავმჯდომარეობდა: თ.ყეინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა: რ.ბაღაკაშვილი,ა.ბუღრიძე, ლ.ითიურიძე
ა.მექვევრიშვილი, შ.ტერტერაშვილი
დ.იმერლიშვილი, თ.წითელაური
ბ.ჭიჭიკლიშვილი, თ.ბოდაველი

სხდომა გაიხსნა 11^{00} სათზე.

სხდომის თავმჯდომარე თ.ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/
2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/
3. ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - შაქრო ტერტერაშვილი /

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო პროექტი და შემოიტანა წინადადება, საკითხის გადადების შესახებ რიგგარეშე სხდომისათვის, პროექტის სრულყოფის მიზნით.
წარმოდგენილი პროექტის შესახებ ბიუროს წევრებმა გამოთქვეს შენიშვნები, რამაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.
ა.ბუღრიძე: დოკუმენტი საკმაოდ ვრცელია და მოითხოვს სერიოზულ დამუშავებას. შეცდომა რომ არ გაიპაროს, პროექტის სრულყოფის მიზნით გაგრძელდეს მუშაობა.
შ.ტერტერაშვილი: ვეთანხმები საკითხის გადადებას, ამასთან ვითხოვ ყურადღება მივაქციოთ სხდომის დარბაზის მოწყობას და შევქმნათ ნორმალური სამუშაო პირობები. მის აზრს დაეთანხმნენ თ. ბოდაველი და სხვა წევრები.
ბ.ჭიჭიკლიშვილი: რეგლამენტი ჩვენი სამოქმედო დოკუმენტია, რადგან შენიშვნები გამოითქვა, საკითხი უკეთ შესწავლის მიზნით გადაიდოს შემდეგისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის გადადებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დღის წესრიგის პირველი საკითხის გადადების შესაბამისად, გადაიდო შემდეგი საკითხი, - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო პროექტი (შესრულების ანგარიში თან ერთვის ოქმს). შეკითხვები და შენიშვნები საკითხის ირგვლივ არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8 - მომხრე;

2 - წინააღმდეგი;

(შ.ტერტერაშვილი, თ.ბოდაველი)

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

საკითხი ინიციირების წესით შემოიტანა საკრებულოს წევრმა შაქრო ტერტერაშვილმა. პროექტის თანახმად, ის ითხოვს საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანას. კერძოდ, განკარგულების პირველი პუნქტის ბოლო წინადადებიდან ამოღებული იქნეს სიტყვები - ,,ერთი მრჩევლის“.

ბ.ჭიჭიკლიშვილმა მოითხოვა საკითხის დასაბუთება და აღნიშნა: საკითხს საკრებულოს სხდომაზე მხარი დაუჭირა საკრებულოს 22 წევრმა, ამიტომ არ მიმაჩნია საჭიროდ პროექტი განსახილველად გავიდეს საკრებულოს სხდომაზე.

შ.ტერტერაშვილი: ზუსტ განმარტებას საკითხის შესახებ გავაკეთებ საკრებულოს სხდომაზე. ამავე დროს აღნიშნა, რომ მას სრული უფლება აქვს საკითხის ინიციირების.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის დღის წესრიგიდან ამოღებას

8 - მომხრე;
2 - წინააღმდეგი;
შ.ტერტერაშვილი, თ.ბოდაველი)

სხვა წინადადებები და შენიშვნები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 12^{00} საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: თ.ყეინიშვილი